

საქალანი

განვითარების და კულტურის

ცენტრალური განვითარების და კულტურის მინისტრი

გაზეთის № 426.

გვირა, 16 ოქტომბერი

1911 წ.

დამატების № 75

ცოცხალი გვამი

დრომა 6 მოქმედებად და 12 სურათდა

ლ. 6. ტოლესონის.

(შემდეგი *)

გ ა მ თ ხ ე გ ლ ა VII.

ანა ბავლიდვნა მარტი

ანა პავლი. (თავს აფანასიევს და პუტიშტეს). ძალიან კარგიც იქნება, და მოხდეს. ძალიან კარგია, ნერა მოხდეს. დიახ...

გ ა მ თ ხ ე გ ლ ა VIII.

ანა პავლოვნა და გოგო. (შემდის).

გოგო. ვიქტორ მიხაილოვიჩი მობანდა.

ანა პავლი. მერე რა? სთხოვე მობრძანდეს და ქალბატონსაც მოახსენე. (გოგო გაბრუნდება და შეგნითა განთვალისწინება).

გ ა მ თ ხ ე გ ლ ა IX.

ვიქტ. კარენ. (შემდეგ და მიესადმება ანა ბავლი.) — ელიზავეტა ანდრეევნას ბარათით დევებარებინე. მე უიმისოთაც დღეს სალამოთი უნდა გხლებოდით, ასე რომ მე დიდათ მოხარული ვარ... ელიზავეტა ანდრეევნა ხომ კარგად ბრძანდება?

ანა პავლი. კარგათა, მხოლოდ ბავშვი ცოტათი მოუსვენრათა ჰყავს. თითონაც ეხლავე გამოვა. (დადანებული). დიახ, ცუდი დროება დაგვიდგა... თქვენ ხომ ყველა ლივე გეცილებათ?

კარენ. დიაღ, ვიცი. მე ხომ აქ გახლდით ამ სამი დღის წინად, როდესაც იმისგან წერილი მოვიდა. მაგრამ ნუ თუ უკვე საბოლოოდ გადაწყვეტილია!

ანა პავლი. მაშ არა და! რაღა თქმა უნდა. საშინელება იქნება ხელმორიედ განცდა ყველა იმისი, რაც მოხდა...

კარენ. აი რა შემთხვევისათვის არის ნათქვამი: ათჯერ გაუზომე, ერთხელ მოსჭრო.

ანა პავლი. რა თქმა უნდა! მაგრამ მაგათი ქორწინება დიდი ხანია გადასწყლა. ასე რომ, როგორც ერთიმა გაყრა არც ისრე ძნელი იყო. თვით ქმარსაც ჭარგად ესმის, რომ ყველა იმის შემდეგ, რაც მოხდა, იმას დაბრუნდება აღარ შეცუქლიან.

კარენ. ვითომ რატომ?

ანა პავლი. თქვენგან არ მიკიირს! ყველა მის მიერ ჩადენილი სისაძგლე; იმის შემდეგ, რაც ის ფიცით აღთქმის

სდებლა, რომ აღარაფერს ჩაიდენდა და თუ კიდევ ჩაიდენდა, მაშინ თვითვე ხელს იაღვტდა ქმრის ყოველგვარ უფლებაზე და მიანიჭებლა ლიზას სჩულს თავისუფლებას...

კარენ. კეთილი, მაგრამ ის როგორი უფლება იქნება ქალისთვის, რომელიც ქორწინებითა შებორკილი?

ანა პავლი. გაყრით ის უკვე დაპირდა გაყრას და ჩვენც ეხლა დაბეჯითმით მოვითხოვთ.

კარენ. კეთილი, მაგრამ ის ელიზავეტა ანდრეევნას ისე უყვარდა, რომ...

ანა პავლი. ლხ, იმისმა სიყვარულმა იმდენი ვარამ; განიცალა, რომ აღარა მგონია იმ გრძნობილან კიდევ დარჩენოდა რამე; სადაც ლოთობაც იყო, მოტყუებაც ღალატიც. განა იმისთანა ქმრის სიყვარული შეიძლება?!

კარენ. სიყვარულისათვის ყველაფერი შესაძლებელია.

ანა პავლი. თქვენ ამჟამა სიყვარულისათვის, მაგრამ როგორ უნდა გიყვარდეთ ისეთი მჩერი კაცი, რომლისაგანაც არც ერთ საქმეში არ შეგიძლიანთ იმედი იქონიოთ? განა იცით კი რა იყო... (ქარებს გადაჭედადა და აჩქარებით უაშათჲს). საქმეები აწერილ-დაწერილია, ყველაფერი დაწირავებული და ხელში კი აღარაფერი. ბოლო უროს ბიძა ჰეზავნის თრი ათას მანეთს, სარგებლის შესატანად. იმას მაჯეს ის ფული და სადლაც იკარგება. ცოლი აქ ზას, ავადმყოფი ბავშვით, უცდის და ბოლოს იმისგან ბარათი მოსდის: გამომიგზავნეთ თეთრეული და ბარგიო...

კარენ. დიახ, დიახ, მე ვიცი.

გ ა მ თ ხ ე გ ლ ა X.

ანა პავლი. და კარენინი. შემოუან ლიზა და საშა.

ანა პავლი. აგერ, თანხმაც შენი თხოვნისა, ვიქტორ მიხაილოვინიც მოვიდა.

კარენ. მხოლოდ მე ცოტა დამაბანდეს: (ესალმება დევება).

ლიზა. გვადლობთ. თქვენთან დიდი სათხოვარი მაქეს, რომლითაც მე არ შემიძლია სხეს მივმართო.

კარენ. რაც კი შემეძლება...

ლიზა. თქვენ ხომ უკვე ყველივე იკით.

კარენ. დიახ, ვიცი.


ანა პავლი. მაშ, თქვენ დაგროვებთ. (საშას) წავიდეთ, დატოვოთ მარტოთ. (გადაიან).

გ ა მ თ ხ ე გ ლ ა XI.

ლიზა და კარენინი

ლიზა. იმან წერილი მომწერა, რომელშიაც იტყობინება, რომ ყველაფერს უკვე გათავუბულათა სთვლის. ამინ მე

ც მ ც ხ ს ა ლ ი გ ვ ა მ ი



ექიმი. ამის გარდა, ფხვიერი ერთი დილით, ერთიც სალამოთი, ასლავ დაგიწერთ. (მეორე მოქმ. პირველი სერათი).

(ცალი იკავებს). იმდენიც შეურაცხმყო, იმდონად... კარენ. ვეცდები, რაც კი შემეძლება. (თავს უკრავს და ერთი სიტყვით მეც მაშინ დავთანხმდი კავშირის გა- მიდის).
წყვეტაზე... და ვცხასუხე, რომ ვიღებ იმის წინადა- დებას—განშორებაზე.

კარენ. და ეხლა ნანობთ?

ლიზა. დიახ, მე ვიგრძენი, რომ ეგ ჩემის მხრით ცუდი საქ- ციელია, რომ მე არ ძალმიძს განშორება. ასე რომ, ერთი სიტყვით, გადაეცით იმას ეს წერილი. გეთაყვათ, ვიქტორ... გადაეცით იმას ეს წერილი და უთხარით... და აქ მომგვარეთ.

კარენ. (გაკვირვებული) კარგი, მაგრამ როგორ?

ლიზა. უთხარით, რომ მე ვსთხოვ იმას ყველაფერი დაფი- წყებას მისცეს და სახლში დაბრუნდეს. მე ისეც შე- მეძლო წერილის გაგზავნა. მაგრამ ვიცი იმის ხასიათი: პირველად კი კეთილი სურვილი აღეძროდა, მაგრამ ვისმეს ზეგავლენით გადიუკიქრებდა და იმას არ ჩი- დენდა, რაც ეწადა.

კარენ. რაც კი შემეძლება, ვეცდები.

ლიზა: გიკვირთ განა, რომ მე თქვენა გთხოვთ?

კარენ. არა... თუმცა, მართლის თქვენა საჭირო: დიახ, მაკ- ვირს...

ლიზა. მაგრამ, ხომ არა ჯავრობთ?

კარენ. განა მე თქვენზე გაჯავრება შემიძლიან?

ლიზა. მე თქვენ იმიტომა გთხოვთ, რომ ვიცი თქვენ ფე- დია გიყვართ.

კარენ. ისიცა და თქვენც. თქვენ ეს კარგად იცით. მე ვიყ- ვარს ჩემთვის კი არა, არამედ თქვენთვის. და ამისთა- ნავე მაღლობას გწირავთ თქვენი ნდობისთვის. ვეცდე- ბი, რაც კი შემეძლება.

ლიზა, მე მაგაში დარწმუნებული ვარ. მე თქვენ ჩველა- ფერი უნდა გითხროთ: დღეს ვიყავი აფრემოვთან იმის გასაგებად, თუ ის სად იმყოფება. გადმომცეს, რომ ის ბოშებს გაჰყეა. და, აა, მეც სწორედ ამისი მეში- ნიან. მეშინიან იმის გატაცებისა. ვიცი, რომ თუ კაც- მა დროზე არ გააჩერა, ის მთლად გაჰყება... მაშ, თქვენ წახვალთ?

კარენ. რა თქმა უნდა, ეხლავ!

ლიზა. მაშ წალით, მონახეთ და უთხარით, რომ ყოველივე დავიწყებას მიეცე და ველი.

კარენ. (დგება). კარგი, მაგრამ ნეტავი სად უნდა ეძებოს ის კაცმა?

ლიზა. ის ეხლა ბოშებთანაა. მე თითონ ვიყავი იქ- წისკარებამდე მიველ, წე- რილი მინდოდა შემე- გზავნა, მერე გადავიფიქრე- და გადავწყვიტე თქვენ- თვის მეთხოვნა... აი, ადრესიც. მაშ ასე უთ- ხარით, რომ დაბრუ- დეს სახლში, ვითომ არაფერი მომხდარა, რომ ცველაფერი დავიწყებუ- ლია. თქვენ ეს უნდა გამიკეთოთ მისი სიყვა- რულით და ჩემი მეგო- ბრობის გულისათვის.

გ ა მ ა ხ გ ლ ა XII.

დაზა მარტო.

ლიზა. არ შემიძლიან, არ შემიძლიან. ისევ ისა სჯობს, ვიღრე... არ შემიძლიან.

გ ა მ ა ხ გ ლ ა XIII.

დაზა; შემთდის საშა.

საშა. რა ჰქენი, გაგზავნები?

(დაზა პასუხის მაგიერ თავს უქნებს).

საშა. ია ისიც დაგთანხმდა?

ლიზა. რა თქმა უნდა.

საშა. რაღა უეპველად მაგასა გზავნის არ მესმას.

ლიზა. მაშ, ვინ?

საშა. შენ ხომ იცი, რომ მაგას უყვარხარ?

ლიზა. ეგ როდესლაც იყო და გაიარა. მაშ როგორა ფიქ- რობ, ვისთვის უნდა მეთხოვნა? რა აზრისა ხარ, და- ბრუნდება?

საშა. დარწმუნებული ვარ, რადგანაც...

გ ა მ ა ხ გ ლ ა XIV.

ლიზა და საშა, შემთდის ანნა პავლოვნა.

(საშა განემდება).

ანნა პავლ. ვიქტორ მიხაილოვიჩი სალდაა?

ლიზა. წავიდა.

ანნა პავლ. როგორ თუ წავიდა?

ლიზა. მე იმას ერთი თხოვნის ასრულება დავავალე.

ანნა პავლ. რა თხოვნის? კიდევ საიდუმლოა?

ლიზა. საიდუმლო არაა, მე იმას ვთხოვე ჩემი წერილი ფე- რისათვის პირადად გადაეცა.

ანნა პავლ. ფერისათვის? ფერის ვასილევიჩისთვის?

ლიზა. დიახ, ფერისათვის.

ანნა პავლ. მე კი ვფიქრობდი, რომ თქვენ შორის ყოველი-

ვე კავშირი უკვე გაწყვეტილია.

ლიზა. მე არ შემიძლიან იმის განშორება.

ანნა პავლ. როგორ, ისევ თავიდან იწყება?

ლიზა. მწადდა, ვცდილობდი, მაგრამ არ შემიძლიან. რაც გინდა მოისურვეთ, მხოლოდ იმასთან განშორებას კი ნუ.

ანნა პავლ. მაშ, რა გწალიან, გინდა ის უკანვე დაიბრუნო?

ლიზა. დიახ.

ანნა პავლ. კვლავ სახლში შემოუშეა ის საზოგადოი? ლიზა. დედა, გთხოვთ, ჩემს ქმარზე შაგრე ნუ ლაპარა- კობთ.

ანნა პავლ. ის იყო ქმარი.

ლიზა. არა, ის ეხლაც ჩემი ქმარია.

ანნა პავლ. მფლანგავი, ლოთი, გარყვნილი და შენ კი არ შეგიძლიან ისას თავი დაანებოში!

ლიზა. რათა მტანჯავთ? მე უმისოთაც ნაღველი მაწევს და თქვენც თითქოს განგებ გინდათ...

ანნა პავლ. მე გტანჯავე?! მაშ კარგი... მე შავალ. მე ამის ცეკვა არ შემიძლიან.

ლიზა. (განუმებულია).

ანნა პავლ. მე ვხედავ, რომ თქვენც ეს გინდათ, რომ მე თქვენ გიშლით. მე აქ ყოფნა აღარ შემიძლიან და თქვენი არც არაფერი მესმის. ყველა ეს რაღაც ახალ მოდერია. ჯერ ვითომ გადასწყვიტა გაყრა, მერმე კო- დევ უკად იბარებ იმ კაცს, რომელსაც შენ უყვარ- ხარ...

ლიზა. სრულებითაც არა.

ანნა პავლ. კარენინი შენ ხელსა გთხოვს... და შენ იმას ქმართანა ჰგავნი. ეს რაა, ვითომ ეჭვიანობა რომ გაუცხოველო?

ლიზა. დედა, ეგ საშინელებაა, რასაც თქვენ ლაპარაკობთ. თავი დამანებეთ!

ანნა პავლ. მაშ ეგრე, დედა გააგდე სახლიდან და გარყვნი- ლი ქმარი კი შემოიყვანე. მე თვით არ დაგიდებით. მშეოდნით, ღმერთმა გიშველოთ, როგორც გინდათ, ისე მოიქეცით!

(გარებს გაიჯახუნებს და გაფა).

გ ა მ თ ხ ს გ ლ ა XV.

ლიზა. და საშა.

ლიზა. (სახალხებში ჩაეშება). ეგდა მაკლდა!

ხაშა. არაუშავს-რა. ყველაფე- რი კარგად მოეწყობა. დედას დავამშვიდებთ.

გ ა მ თ ხ ს გ ლ ა XVI.

ლიზა, საშა და ანნა პავლ. (გაიყდის).

ანნა პავლ. დუნიაშა, მოიტა ჩემი ჩემოდანი!

ხაშა. დედა, გამიგონეთ! (გაჭ- უება და თან დას თვალს უშვება).

სურათი მეორე.

გ ა მ თ ხ ს გ ლ ა I.

ბოშების ოთახი. მომღე- რალთა გუნდი „კანაველას“ მღერის, ფედია პირ დაღმა წევს დიგანზე უსერთუკოთ. აფრემოვი სკამს გადასჯდო- ბია მოძაბლის პირდაპირ.

აფრემოვი დგას მაგიდასთან, რომელზედაც შამპანიური და ჰიქებია. იქვე ჩემშენდე ცწვრს.

აფრემოვი. ფედია, გმინავს? ფედია. (წამოდგება). —ნუ ლაპარაკობთ! ეხლა „ნე ვერ- ნიას“ იმდერებენ.

ბოშა კაცი. აღარ შეიძლება, ფეოდორ ვასილევიჩ, ეხლა მარტო მაშამ იმდეროს.

ფედია. მაშ, კარგი! „ნე ვერნიანია“ შემდეგ იყოს. (ისევ წევება).

აფრემოვი. „ჩას რავოვოი“ იყოს.

ბოშა კაცი. თანახმა ხართ?

აფრემოვი. და იყოს.

აფრემოვი. (მემუსიკეს). —აბა, ჩასწერეთ?

მემუსიკე. შეუძლებელია. სულ სხვა და სხვა ჰანგი. ი აქ- (ეძახის. მთახედებს ბიშის ქალს). ეს როგორია? (მღერის). ბოშის ქალი. სწორედ მაგრეა, მშვენიერია.

ფედია. (წამოდგება). —არ ჩასწერს. და თუ ჩასწერს, ოპერა- ში ჩასჩირავს, —სულ წახდენს. აბა, მაშა, დასტე თუნდა „ჩასია!“ იღებ გიტარა. (აღგება, წინ დაუჭდება მაშას, რომელსაც თვალებში ჩასცერის).

ბაშა. (მღერის).

ფედია. კარგია ეგევც. ყოჩალ, მაშა აბა, ახლა „ნე ვერ- ნიანია“...

აფრემოვი. არა, მოიტა. ჯერ ჩემი, სამგლოვიარო მარში. აფრემოვი. სამგლოვიარო რათა?

აფრემოვი. იმიტომ, რომ როდესაც მე მოვკვდები... გეს- მის, როტა მოვკვდები, კუბოში ვიწვები, მოვლენ ბო- შები... გეყურება? ცოლს ასრეთ ანდერძს ვუტოვებ. და იმდერებენ: „შოლ მე ვერსტა“, —და მაშინ მე კუ- ბოდან წამოვხტები, —გესმის! (მემუსიკეს). ი რა ჩა- წერე! აბა, ჰა!

(ბოშები მღერიან).

აფრემოვი. რალასაც გაიმასხარავებს. (ბოშები იდამებიან და განაგრძინდება სიმღერას, ტაშის უკრავენ).

აფრემოვი. ჯდება (სიმღერა თავდება).

ბოშები. ყოჩალ მიხეილ ანდრეევიჩ, ნამდვილი ბოშა! ფედია. აბა, ახლა, —„ნე ვერნიანია“.

ც ყ ც ხ ა ლ ი გ ვ ა მ ი



აფრემოვი და ფედია. (მეორე მოქ. მეორე სურათი).

(ბოშები მღერიან).

ფედია. ი სწორედ ეგ არის! ი, ეგ არის! გასაკვირველია! ნეტავით თუ სად სჩადიან ყველა იმს, რაც კი მაგაშია გამოთქმული? ოხ, რა მშვენიერია! და რატომ შეუ- ძლიან აღამიანს მივიდეს მაგ აღტაცებამდე; მაგის გაგ- რძელება კი არ შეიძლება?

მემუსიკე. (სწორი). —დია, ძალიან თავისებურია.

ფედია. თავისებური კი არა, ნამდვილია.

აფრებოდი. აბა... ახლა თქვენ დაისცინეთ (გიტარას აიღებს და კატას მოუჯდება).

შემუსიკე. თვით უბრალი რამა, მხოლოდ საქვე რითმა. ფედია. (ხელს აქნებს, მიგა და მაშას მოუჯდება გეგმიდათ). — ოხ, მაშა, მაშა, როგორ მირევ მთელ არსებას.

მაშო. აბა, მე თქვენ რა გთხოვთ?

ფედია. რა? ფული? (აღებს ჭაბიდან). მერმე რა, აი აიღე.

მაშო. იცინის, ფულს იღებს და უბეში ინახავს.

ფედია. (ბოშებს). — ახლა მოდი და გაიგე! მე კას მიხსნის და თვით კი სურნელოვან წყლების ფულსა მოხვეს. შენ მგონი ეხლა იმისი არაფერი გესმის, რასაც სჩა-დიხარ!

მაშო. როგორ არ მესმის? მესმის, რომ ვინც მიყვარს, მისთვის ცვლილობ და უკეთესად ცმლერი.

ფედია. მე ხომ გიყვარვარ?

მაშო. სჩანს, რომ მიყვარხარ.

ფედია. საოცარია! (ჟკოცნას).

გ ა 8 თ ხ გ ლ ა II.

ბოშის კაცები დარჩებიან და ქალები მიღიან. რჩებიან წყვილ-წყვილად: ფედია მაშოთ, პურებით კაცთათ, პურებით გაშათათ. მემუსიკე სწერს. ბოშა კაცი გიტარაზე ვალსს უკრავს.

ფედია. მე ხომ ცოლიანი ვარ! და შენ კი მაინც ხორო ნებას არ გაძლიერეს.

მაშო. ხორო კარგია, მაგრამ გული—გულია. ვინც მიყვარს, — მიყვარს! ვინც საზიზლარია—საზიზლარია.

ფედია. ოხ, რა კარგია... კმაყოფილი ხარ?

მაშო. რასაკვირველია. როდესაც კარგი სტუმრებია, ჩვენც მხიარულათა ვართ.

გ ა 8 თ ხ გ ლ ა III.

(ბოშა გაფი შემთბის).

ბოშა კაცი. (ფედიას) თქვენ ერთი ბატონი გეითხულობს.

ფედია. ვინ ბატონი?

ბოშა კაცი. არ ვიცი. ლაზათიანად, მდიდრულად კი აცია.

ფედია. ბარორაი რა ვუყოო, დაუძახე.

გ ა 8 თ ხ გ ლ ა IV.

იგინიგე ჭბაშა კაცთ.

აფრებოდი. ნეტა ვინ მოკვდა შენთან?

ფედია. ეშმაქმა იცის იმისი თავი! ვის უნდა ჰქონდეს ჩე-თან საქმე?

გ ა 8 თ ხ გ ლ ა V.

იგინიგე. (შემთბის კარენინი, აქეთ-იქათ იხედება).

ფედია. ა, ვიქტორ! შენ კი სულ არ გელოდი! გაიხადე. რომელმა ქარჩა შემოგაგდო? აბა, დაჯერი. ყური ლაუგდე, აი „ნე ვეჩერნაია“.

კარენ. Ge voudrais vous parler sans témoins. (მე მინდოდა მოწმის დაუსწრებულად მოგლაპარაკებდა).

ფედია. რაზედ?

კარენ. გე viens de chez vous. Votre femme m'a chargé de cette lettre, et puis... (მე თქვენი სახლიდან მოვდიარ, თქვენი მეუღლებ ამ წერილის გადმოცემა დამაგადა და იქნება...).

ფედია. (გამოართმებს წერილს, კითხულობს, იქვება, შემდეგ ალექსანდ იდამება). — ყური დამიგდე, კარენინ, შენ ხომ იცი, რაც სწერია ამ წერილში...

კარენ. ვიცი და მინდა გითხრა...

ფედია. მოიცა, მოიცა გეთაცა, არ იფაქრო, რომ მე მთვრალი ვიყო და ჩემი სიტყვები მოუსაზრებლობით მომდინდეს. მთვრალი ვარ, მაგრამ ამ საქმეში ყოვე-

ლივეს ნათლად ვხედავ. აბა, სთქვი, რა დაგვალებულება გარენ. დამაგალეს მენახე და მეთქვა, რომა... ის..., შენ გვ-ლის. გთხოვს ყოველივე დაივიწყო და სახლში დაბრუნდე.

ფედია. (განუმებული უკას უგდებს და თვალებში მისჩერება).

— მე მანც არ მესმის, რაღა სწორედ შენ?..

კარენ. ელიზავეტა ანდრეევნამ დამიბარა და მთხოვა...

ფედია. ასე...

კარენ. მაგრამ, იმდენად შენის მეულლის სახელით არა, რამდენადც პირადათ მე გთხოვ: წავიდეთ სახლში.

ფედია. შენ ჩემზე ბერად უკეთესი ხარ. მაგრამ რა სისულელე! ჩემზე უკეთესობა ძნელი არ არის. მე საზიზლარი ვარ, შენ კარგი, ძლიან კარგი დამინინი. ამის და მიუხედავად ჩემს გაუზარდებილებას არ შევცვლი, ეს არც შემიძლიან და არცა მსურს... აბა, როგორ წამოვალ?

კარენ. ეხლა ჩემთან წავიდეთ. მე შევატყობინებ, რომ შენ დაბრუნდები და ხვალ...

ფედია. ხვალ რაღა? მე ყოველთვის მე ვიქნები, და ის კიდევ—იმად დარჩება, რაც არის. (მიგა მაგიდასთან და სვამს). ყოველთვის სჯობია კბილი ერთბაშად ამოიძროს კაცმა. მე ხომ ვუთხარი, თუ კიდევ გავტებდი ჩემს სიტყვას, მაშინ იმას უნდა მივეტოვებინე. ჩემი დაპირება ვერ ავსარულე მაშასალამე ყოველივე გათავდა.

კარენ. ეს მხოლოდ შენთვის, მაგრამ იმისთვის კი არა.

ფედია. რასაკვირველია, შენ იმისთვის ზრუნავ, რომ ჩვენი ქორწინება არ დაირღვეს.

კარენ. (რადასიმო თქმა უნდა. მათ მიუხედოდება მაშა).

ფედია. (აწევეტინებს). — აბა, ერთი უკრი დაუგდე, როგორ იმღერებს „ლენს“. მაშო!

(ბოშები გროვდებიან).

მაშო. (ჩერჩედით). ვუმღერით?

ფედია. (აციხის). უმღერეთ ვიქტორ მიხაილოვიჩის. (ბოშები მდერიან).

კარენ. (დანისევენით უკას უგდებს და შემდეგ ეჭითება) — რამდენი მივცე?

ფედია. მიეცი ერთი ოცდა ხუთიანი.

კარენ. (აძლევს).

ფედია. მშვენიერი იყო! ახლა — „ლენიც“.

(ბოშები მდერიან).

ფედია. (ათეალიერებს). — კარენინი გაიქცა? ეჲ, ეშმაჭისაც წაულია!

(ბოშები იშლებიან).

გ ა 8 თ ხ გ ლ ა VI.

ფედია. (მიშის გევერზით მიუჯდება). — იცი ის ვინ იყო?

მაშო. გვარი ვამიგრა.

ფედია. ჩინებული აღამიანია. ჩემთან იმიტომ მოვიდა, რომ ცოლთან წავეყვანე. მე სულელი, ცოლს ვუყვარვარ და ქე კი, ი, რას ჩავდივარ.

მაშო. მერე, ეგ ხომ კარგი არ არის. უნდა წასულიყავო. უნდა გებრალებოუს.

ფედია. შენის აზრით საჭიროა მე კი ვფიქრობ, რომ არა.

მაშო. რა თქმა უნდა, თუ არ გიყვარს, არც საჭიროა. მხოლოდ სიყვარულია ძეირფასი.

ფედია. მერე შენ საიდან იცი?

მაშო. ალბად ვიცი.

ფედია. აბა, მაკოცე, ჩავალო! ერთი კიდევ „ლენი“ და შაბაშ.

(ბოშები დაწევებენ მდერიან).

ფედია. ოხ, რა კარგია. რომ შეიძლებოდეს, არ გაიღიოს ისე მოკვდება...

(შემდეგი იქნება)

გ. ა ხ ლ ც ე ლ ი.

ფ ა რ დ ა.

—